

Eka Chkheidze

ეკა ჩხეიძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Intercultural Aspect of Translation

თარგმანი როგორც ინტერკულტურული კომუნიკაციის ფორმა

No significant culture can be created and survive in a hermetic, closed space. When we observe any national culture, we find that – especially in the initial stages of development – it engages in a necessary dialogue with other national cultures, enriching and diversifying itself in the process. Translation serves as the primary support and foundation for these intercultural communications. Translation not only facilitates a dialogue between diverse cultures but also often serves as the most faithful preserver of civilizations and cultures through time.

Key words: Translation, intercultural communication, national cultures

საკვანძო სიტყვები: თარგმანი, კულტურათაშორისი კომუნიკაცია, ეროვნული კულტურები

ვერც ერთი მნიშვნელოვანი კულტურა ვერ იქმნება და ცოცხლობს ჰერმეტიკულ, ჩაკეტილ სივრცეში. ნებისმიერ ნაციონალურ კულტურაზე დაკვირვებისას აღმოვაჩინებთ, რომ იგი – განსაკუთრებით განვითარების საწყის ეტაპებზე – აუცილებელ დიალოგში იმყოფება რომელიმე სხვა ნაციონალურ კულტურასთან და მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ გზით მდიდრდება და მრავალფეროვნდება. ამგვარი ინტერკულტურული კომუნიკაციების უმთავრესი დასაყრდენი და ფუნდამენტი პირველყოფლისა თარგმანია. თარგმანი არა მხოლოდ ორ, ერთმანეთისგან განსხვავებულ კულტურას შორის დიალოგს უზრუნველყოფს, არამედ ხშირად გარდასული ცივილიზაციების და კულტურების ყველაზე ერთგულ მცველად გვევლინება ხოლმე. როგორც ეს მაგალითად ძველი ბერძნული ფილოსოფიისა და ლიტერატურის შემთხვევაში მოხდა, თავისი პირვანდელი სახით რომ თითქმის სრულად გაქრა და დაიკარგა და მხოლოდ არაბულ ენაზე თარგმნილმა მოაღწია გვიანი შუასაუკუნეების ევროპამდე და ამგვარად ევროპული ცივილიზაციის ისტორიაში ალბათ მაინც ყველაზე დიდი კულტურული აფეთქება გამოიწვია, რომელსაც დღეს რენესანსის სახელით ვიცნობთ. იმავეს თქმა შეიძლება ამერიკის კონტინენტის მკვიდრი მოსახლეობის კულტურებზე, ევროპული კოლონიზაციის შედეგად რომ განადგურდა და ისევ მხოლოდ ევროპულ ენებზე თარგმანების სახით მოაღწია თანამედროვეობამდე და გზად ახალი დროის უამრავ მოაზროვნესა და ხელოვანზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.

დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულია მოსაზრება, რომ ვერც ერთი ცალკეული ნაციონალური ლიტერატურა საკუთარ თავს მსოფლიო კულტურის ნაწილად ვერ მოიაზრებს თუ მასში არ არსებობს მსოფლიო ლიტერატურის ურყევ კლასიკად მიჩნეული ძეგლების თარგმანები. სწორედ ამიტომ ქართული ლიტერატურის განვითარებაში ჩვენს პოეტებსა და მწერლებზე არანაკლები წვლილი მიუძღვით ისეთ მთარგმნელებს როგორებიც არიან: ბაჩანა ბრეგვაძე, დავით წერეთლიანი, მანანა გიგინეიშვილი, ალექსანდრე გვახარია, თამაზ ჩხენკელი და სხვები. მათი დამსახურებით ქართულ ენაზე გვაქვს ისეთი ტექსტები როგორიცაა, გოეთეს „ფაუსტი“, სერვანტესის „დონ კიხოტი“, პლატონის „სახელმწიფო“ ხიმენესის „პლატერო“ და სხვა. თარგმანის ხელოვნებამ უდიდესი როლი ითამაშა მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველი ავანგარდისტი ავტორებისა და მათი თანამედროვე რუსი თუ ევროპელი მოდერნისტების შორის ცოცხალი დიალოგის და გამოცდილებათა გაზიარებაში.

ასეთმა ინტერკულტურულმა კომუნიკაციამ შემდეგ დიდი ხნით განსაზღვრა ქართული თუ მსოფლიო ლიტერატურის განვითარების გზა და ამიტომაც გულდასმით შესწავლას იმსახურებს, განსაკუთრებით ისეთი მოვლენები, როგორიცაა „ცისფერყანწელთა“ დიალოგი რუს მოდერნისტ ავტორებთან, ან გერმანულენოვანი ებრაელი პოეტის პაულ ცელანის მიერ თარგმნილი ოსიპ მანდელშტამის პოეზია, რითიც ჰოლოკოსტგამოვლილმა პოეტმა საკუთარი ბედისწერა საბჭოეთის გულაგებში დაღუპულ თაობებს დაუკავშირა.

თარგმანი გარკვეული აზრით შეიძლება ცენტრალურ ინტერკულტურულ კომუნიკაციის ფორმადც მივიჩნიოთ, რადგან როგორც წესი, სერიოზული ამბიციის მქონე თარგმანი საგრძნობლად ცდება უბრალოდ ორ ენას შორის სიტყვათა თარგმანს. უახლესი დროის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქართველი პოეტი და მთარგმნელი დავით წერეთლიანი მარსელ პრუსტის რომანზე საუბრისას ასეთ რამეს შენიშნავს:

[მთარგმნელმა] უნდა შექმნას სრულიად ახალი ინტონაციები, მოდულაციები, ფრაზის აგების მთელი სისტემები, მონახოს ახალი სიტყვები ცხოვრების იმ წესისათვის, რომელიც საქართველოში არასდროს ყოფილა. ... მაშინ როდესაც გერმანელ ან რუს მთარგმნელს მხოლოდ ერთი დაკვირვებული მიმოხედვა სჭირდება, რადგან საამისო მზა მასალა მათ ლიტერატურაში უკვე არსებობს (წერეთლიანი, 2014, გვ. 171).

ამრიგად თარგმანი ხშირად ენაში არა მხოლოდ უცხოენოვანი ლიტერატურის, არამედ ვრცელი კულტურული კონტექსტის, საზოგადოების წყობის აგებულებისა და პოლიტიკური მსოფლმხედველობის ტრანსფერსაც გულისხმობს. როგორც წესი, სწორედ თარგმანის მეშვეობითა და ენის გავლით შემოდის კულტურასა და ცივილიზაციაში რელიგიური სწავლებები ან იდეოლოგიური წარმონაქმნები. საკმარისია გავიხსენოთ მაგალითად, იყალთოს აკადემიის დვაწლი საქართველოში ქრისტიანი წმინდა მამების სწავლებების გავრცელებაში. ინტერკულტურული კომუნიკაციის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია კარლ მარქსის „კაპიტალის“ თარგმანები. მარქსის ნაშრომებმა, რომლების მის სიცოცხლეში ევროპული კულტურისთვის საკმაოდ მარგინალურ ფენომენად ითვლებოდა, თარგმანის მეშვეობით უდიდესი გავლენა იქონია არაევროპულ კულტურებზე და მეფის რუსეთის ან ლათინური ამერიკის შემთხვევაში საერთოდაც მთელი რევოლუციური მოძრაობების და საზოგადოებრივი წყობილების სრული გარდაქმნის საფუძვლად იქცა.

სხვადასხვა კულტურისა თუ ცივილიზაციის მთარგმნელობით სკოლებზე ან ე.წ. მთარგმნელობით პოლიტიკაზე დაკვირვება ხშირად ამავე კულტურების შინაგანი სტრუქტურისა და არსის უკეთ გაგების შესაძლებლობასაც გვთავაზობს. ასე მაგალითად ტოტალიტარული რეჟიმების მთარგმნელობითი პოლიტიკა ფუნდამენტურად განსხვავდება დემოკრატიულ წყობილებებში წარმოებული მთარგმნელობითი საქმიანობისგან.

მაგალითად, ისევ საბჭოთა კავშირის მასშტაბით, მისი მთელი არსებობის მანძილზე სახელმწიფო აპარატის მიერ ნებადართულ ან აკრძალულ თარგმანებს თუ მივაქცევთ ყურადღებას, დავინახავთ თუ როგორ იქმნებოდა, ვითარდებოდა და იცვლებოდა მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი ტოტალიტარული იმპერია. ამგვარად ათას ცხრაას ოციან წლებში, საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე თვალშისაცემია ერთგვარი კულტურული თუ სოციალური გათავისუფლება, ავანგარდისტული ხელოვნების აყვავება და ემანსიპატორული დისკურსების მანამდე არნახული აფეთქება.

ჯერ კიდევ ლენინისა და ტროცკის მიერ მართულ საბჭოთა კავშირს აქვს მსოფლიო კულტურაში თანასწორუფლებიან სუბიექტად მონაწილეობის პრეტენზია: ითარგმნება დასავლური თუ აღმოსავლური ლიტერატურისა და ფილოსოფიის როგორც კლასიკური ისე მოდერნისტული ნაწარმოებები. საბჭოთა ხელოვნებს ნებას რთავენ და ხელსაც კი უწყობენ, რათა მათ იმოგზაურონ ევროპასა თუ ამერიკაში და ამგვარად ახალი, რევოლუციური კულტურა მსოფლიოს გააცნონ. ამ გზით ხვდება მაგალითად გერმანიაში ვსევოლოდ მაიერხოლდი თავის თეატრალურ დასთან ერთად და წარუშლელ კვალს ტოვებს გერმანული თუ საერთოდ დასავლური ევროპის თეატრისა და დრამატურგის განვითარებაში. ვლადიმირ მაიაკოვსკი ხშირად მოგზაურობს პარიზში და იქაური მოდერნისტული ხელოვნების განვითარებაში მონაწილეობს, შემდეგ კი უკან საბჭოთა კავშირში თარგმანების სახით ჩამოაქვს უახლესი ევროპული ავანგარდის მიღწევები. ამ პერიოდშივე ეყრება საფუძველი ზემოთ ხსენებულ დიალოგს „ცისფერყანწელებსა“ და რუს მოდერნისტებს შორის.

თუმცა საბჭოთა კავშირში ეს შედარებით თავისუფალი პერიოდი ძალიან მალე მთავრდება და სტალინიზმის გამარჯვებისთანავე რადიკალურად მძაფრდება ცენზურა და იწყება რეპრესიები. იმპერიის შიდა წყობის ამ მეტამორფოზას უზუსტეს დიაგნოზს უსვამს ტიციან ტაბიძე თავისი რუსი კოლეგისა და მეგობრის სერგეი ესენინის დაღუპვის გამო დაწერილ ლექსში:

„არ გამოცვლილა ხომ პოეზია
მუხები ცისკრის კარებს ალებენ,
მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია
ჩვენც ალბათ სადმე ჩაგვაძაღლებენ.“

(ტაბიძე, 1966, გვ. 130-131).

საბჭოთა ნომენკლატურის ოფიციალური ვერსიით ალკოჰოლიზმისგან დაავადებულმა სერგეი ესენინმა თავი მოიკლა. ამიტომ სულაც არაა გასაკვირი, რომ ტიციან ტაბიძის ეს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ლექსი საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების არც ერთ ენაზე არ უთარგმნიათ, ზემოთ მოყვანილმა სტროფმა კი ქართულ ენაზეც კი ვერ გაიარა ცენზურა და ის ლექსიდან დიდი ხნის განმავლობაში ამოღებული იყო.

სტალინის პერიოდში თარგმანი ერთ-ერთ უმთავრეს იდეოლოგიურ ინსტრუმენტად იქცევა. კავშირში შემავალ რესპუბლიკებში სტალინის დავალებით შეირჩევიან ერის მთავარი პოეტები და მწერლები და მათი ნაწარმოებების თარგმანები ოფიციალური ხელდასხმით ვრცელდება. ასე ითარგმნება მაგალითად „ვეფხისტყაოსანი“ ყველა რესპუბლიკის ენაზე და ასე ჩნდება ამავე რესპუბლიკებში რუსთაველის სახელობის ქუჩები. კულტურა სრულიად ოფიციალური ხდება და ყველაფერი არა-ოფიციალური კი კონტრევიოლუციურად ინათლება და სასტიკად იდევენება კიდევ. თუ ლენინისა და ტროცკის მმართველობისას ცენზურა და დევნა პირველყოფისა იდეოლოგიურ მტრებსა და მეფის რუსეთის მხარდამჭერებისკენ მიემართებოდა, სტალინიზმის ეპოქაში იდევენება და ნადგურდება ყველაფერი რაც სტალინის მიერ ოფიციალურად აღიარებულ საბჭოთა კულტურის ძალიან ვიწრო ჩარჩოებში ვერ ჯდება. საგრძნობლად იზღუდება ყველაფერი დასავ-

ლური და აკრძალულ ავტორთა რიცხვი დიდწილად აღემატება ნებადართულ, ძირითადად იდოლოგიზირებულ ლიტერატურას.

სტალინის სიკვდილის შემდეგ ტოტალიტარიზმის მარწუხების შერბილებას კვლავ ნებადართული თარგმანების მოზღვაება და რეპრესირებული ავტორების რეაბილიტაცია გვაუწყებს. ხოლო საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელ დეკადაში, ე.წ. „ზასტოის“ და „პერესტროიკის“ დროს ცენზურა საბჭოურ მთარგმნელობით სკოლებს პრინციპში თავს ანებებს და 80-იან წლებში იმპერიაში დაუბრკოლებლად შემოდის დასავლური თუ აღმოსავლური კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენციები. გარკვეული აზრით სწორედ ასეთი სახის თარგმანების მასშტაბური შემოსვლა განაპირობებს საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული სტრუქტურების რღვევას და შემდგომ მთელი იმპერიის ჩამოშლასაც კი.

თარგმანი რა თქმა უნდა, ერთის მხრივ კულტურათა შორის გადებული ხიდია, კულტურათა შორის დიალოგსა და კომუნიკაციას განაპირობებს, ხოლო მეორეს მხრივ თარგმანი შეიძლება იმ ინსტრუმენტადაც იქცეს, რომლითაც ისეთი კომპლექსური და ენიგმატური ფენომენების შესწავლა და შეცნობა ხდება შესაძლებელი, როგორცაა მაგალითად პოეზია. ისევ დავით წერედიანს რომ დავესესხოთ:

მე ისიც კი მგონია, რომ პოეზიის ენა ყველგან ერთია, ცხადია, კულტურის რაღაც საფეხურიდან, თუმცაღა ძალიან ადრეული ხანიდან... ამის დადასტურებაა მრავალი ფოლკლორული ლექსი, რომლებიც სხვადასხვა ენაში ზოგჯერ იმდენად ჰგვანან ერთმანეთს, თარგმნილი გეგონება. [...] ეს ერთი პოეტური ენა, ასე ვთქვათ მეტაენა, სხვადასხვა ფონეტიკურ და გრამატიკულ სისტემაშია ჩაწეხილი. მთარგმნელის მოვალეობაა, ერთი ენიდან ამოიღოს და მეორეში ჩაწეხოს (წერედიანი, 2014, გვ. 173).

ამგვარი მსჯელობა, დავით წერედიანის მთარგმნელობით მიდწევებთან ერთად (მხოლოდ მის მიერ თარგმნილი გოეთეს „ფაუსტი“ ან ვიონის „დიდი ანდერმი“ რომ ავიღოთ) ერთგვარად აბათილებს თითქოსდა საყოველთაოდ აღიარებულ ტრუიზმს, რომ მაღალი პოეზიის თარგმნა შეუძლებელია.

რა თქმა უნდა, კულტურა კულტურის იდენტური არასდროსაა, ყოველი კონკრეტული კულტურა საკუთარ თავში მოიცავს ისეთ შრეებსა და დინებებს, სხვა კულტურებისთვის რომ ყოვლად გაუგებარი და შეუცნობელი რჩება. გარკვეულ წილად სწორედ ეს ასპექტი განაპირობებს ცალკეულ კულტურათა თვითმყოფადობასა და განუმეორებლობას. ამრიგად ბევრ ნაციონალურ ლიტერატურაში გვხდება ისეთი სახის ტექსტები, ერთი შეხედვით არანაირ ადეკვატურ თარგმანს რომ არ ექვემდებარება. ჩვენთან ასეთი სახის სინგულარულობითაა აღბეჭდილი მაგალითად ვაჟა ფშაველას შემოქმედება. უაღრესად სპეციფიკური ენობრივი ქსოვილის გამო პრინციპში უთარგმნელად რომ გვესახება. ინგლისურენოვან ლიტერატურაში ასეთ უთარგმნელ ნაწარმოებად ითვლება ირლანდიელი ნოვატორი მწერლის, ე.წ. ახალი რომანის ერთ-ერთი ფუძემდებლის ჯეიმს ჯოისის უკანასკნელი რომანი „Finnegans Wake“ (ფინეგანის ქელები, ან ღამისთევა ფინეგანისთვის) და მრავალი სხვა.

თუმცა თარგმანი ხომ ცოცხალი ორგანიზმია, ერთგვარი ალქიმიური პროცესი, რომელიც დასაბამს ცივილიზაციების გარიჟრაჟზე იღებს და რომელიც ალბათ მხოლოდ მაშინ დასრულდება, როდესაც თავად ცივილიზაცია შეწყვეტს არსებობას. ასე შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ თარგმანს, როგორც ინტერკულტურული ტრანსფერის მთავარ, ფუნდამენტურ ინსტრუმენტს ჯერ კიდევ არ გამოუვლენია ყველა შესაძლო თვისება და რომ ყოველი, ერთი შეხედვით უთარგმნელი, სინგულარული ტექსტი, უბრალოდ ჯერ კიდევ თავის ნამდვილ მთარგმნელს ელის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ტაბიძე, ტ. (1966). თხზლებები 3 ტომად. ტ. 1. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“.
წერედანი, დ. (2014). ანარეკლი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

References:

T'abidze, T'. (1966). Tkhzlebebi 3 T'omad. T'. 1. [Essays in 3 volumes. Vol. 1]. Tbilisi: „Lit'erat'ura da Khelovneba“.
Ts'erediani, D. (2014). Anarek'li. [Reflection]. Tbilisi: Bak'ur Sulak'auris Gamomtsemloba.